სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №154

ქ. გორი 2020 წელი

ერთის მხრივ, **გორის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის კონსტანტინე თავზარაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ბუქო 777“, ს/კ 417881046** (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ჭეჭელაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს **N13** ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე,

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია: **გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების (CPV60100000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.**

შესყიდვის საშუალებაა - გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1. შესყიდვის ობიექტია: სამედიცინო პერსონალისათვის სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება – CPV 60170000 დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და საერთო ღირებულება.

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ღირებულება **განისაზღვრება დანართი №1-ით.**

3.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **50 220.00 (ორმოცდაათი ათას ორასოცი) ლარი**, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.მომსახურების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1მომსახურების მიწოდების ვადაა: **2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

4.2მომსახურების მიწოდების ადგილია**: გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია; გორი-თბილისი;**

4.3.მომსახურების მიწოდება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2.მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.3.**ანგარიშსწორება განხორციელდება** მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს **10 (ათი)** სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.3.შემსყიდველი ვალდებულია:

დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.5.მიმწოდებელი ვალდებულია:
დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 % ის ოდენობით.
8.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მოეთხოვება მიყენებული ზიანის პროპორციული ოდენობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ისა.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა
9.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.**

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
10.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
10.2 მომსახურების ინსპექტირებას, მიღება/ჩაბარებას, შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – **გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი – დავით ჩიხრაძე.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
11.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულებს გაზრდა 10%-ზე მეტად.
ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.ფორს-მაჟორი
12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2.იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **PDF** ფაილის სახით, ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
გორის მუნიციპალიტეტის მერია **ს/კ 218086087** **მის: ქ. გორი, გ. ფერაძის #5** **სახელმწიფო ხაზინა** **კოდი: TRESGE22** **ა/№ 300843460**	**შპს „ბუქო - 777“** **ს/კ: 417881046** **მის: ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი მე-3 კმ** **ბანკი: სს „ტერაბანკი““** **ბანკის კოდი: TEBAGE22** **ა/ა GE03 KS0000 0003 6020 5995**
გორის მუნიციპალიტეტის მერი	**შპს „ბუქო 777“-ის დირექტორი**
კონსტანტინე თავზარაშვილი	**ზურაბ ჭეჭელაშვილი**

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2020.12.31 14:26:44 +04'00'

დანართი N1

N	მარშრუტი	დრო	სავარაოდო მანძილი კმ.	სავარაოდო დღეების რაოდენობა	წასვლა/მოსვლა	გზების რაოდენობა	1 კმ.-ის ღირებულება	სულ ღირებულება
1	გორი-ერგნეთი	9:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
	გორი-ერგნეთი	18:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
2	გორი-ნიქოზი	9:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
	გორი-ნიქოზი	18:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
3	გორი-მეჯვრისხევი	9:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
	გორი-მეჯვრისხევი	18:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
4	გორი-ატენი-სკრა	9:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
	გორი-ატენი-სკრა	18:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
5	გორი-დოესი-ხიდისთავი	9:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
	გორი-დოესი-ხიდისთავი	18:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
6	გორი-ბერშუეთი	9:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
	გორი-ბერშუეთი	18:00	30	31	1/1	2	1.50	2790.00
7	ატენი-ხიდისთავი	8:30	10	31	1/1	2	1.50	930.00
	ხიდისთავი-ატენი	18:30	10	31	1/1	2	1.50	930.00

8	გორი-თბილისი	8:00	80	31	1/1	2	1.50	7440.00
	თბილისი-გორი	12:00	80	31	1/1	2	1.50	7440.00
ჯამი								50220.00